არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
,,დემოკრატიის მცველების”

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 „დემოკრატიის მცველები, შემდეგში ასევე მოხსენიებული როგორც „ორგანიზაცია,“ წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2 ორგანიზაცია არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

1.3 ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი , ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N 45, სართული 5, ბინა N 28. (ს/კ: 01.14.05.005.054.01.028).

1.4.ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდია - demdef.org, ხოლო ოფიციალური ელ.ფოსტის მისამართია - mshvenieradze@demdef.org

1.5 ორგანიზაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.6 ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი ქონება, აგრეთვე ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. ორგანიზაცია უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, დადოს ხელშეკრულებები, კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს ფილიალები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის აქტივებს, საქართველოს კანონმდებლობისა და ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო/ეკონომიკურ საქმიანობაში. ორგანიზაციის ამოცანების განხორციელების მიზნით, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე არბიტრაჟსა და სასამართლოში წარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

1.7 ორგანიზაცია თავისი დამფუძნებელი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ორგანიზაციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები), პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ორგანიზაცია საკუთარი წევრების, თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) პირადი ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2. ორგანიზაციის მიზნები

ა) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სწავლება და დაცვა;
ბ) სამოქალაქო-აქტივიზმის მხარდაჭერა, კამპანიების დაგეგმვა და ჩატარება.
გ) ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება და დაცვა;
დ) ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭრა;

მუხლი 3. ორგანიზაციის საქმიანობის ფორმა

3.1. ორგანიზაცია ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.
3.2. ორგანიზაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობას, რომლისგან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის, დაუშვებელია.

მუხლი 4. ორგანიზაციის წევრობა და დამფუძნებლები

4.1 ორგანიზაციის დამფუძნებლები ორგანიზაციის დაფუძნების შემდეგ მიიჩნევიან ორგანიზაციის წევრებად და ორგანიზაციის სხვა წევრების თანასწორნი არიან. ორგანიზაციის წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს. დაუშვებელია, ორგანიზაციის წევრობა გადავიდეს მემკვიდრეობით. ორგანიზაციის წევრთა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის თავმჯდომარე.
4.2 ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის მიზნებს.
4.3 ორგანიზაციის წევრად მიღება ან/და წევრობიდან გასვლა ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. გადაწყვეტილებას წევრად მიღების შესახებ იღებს გამგეობა განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. გამგეობა უფლებამოსილია წვრობის მსურველთათვის დაადგინოს დამატებით მოთხოვნები.
4.4 ორგანიზაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღირებისას;
დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გარდაცვლილად გამოცხადებისას;
ე) გარდაცვალებისას.
4.5 ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრი შეძლება გაირიცხოს ორგანიზაციიდან, თუკი ის სისტემატურად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობებს ან/და თავისი ქმედებით ეწინააღმდეგება ორგანიზაციის საქმიანობას და მიზნებს.
4.6 ორგანიზაციის წევრი უფლებამოსილია:
ა) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის მუშაობაში;
ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს გამგეობაში;

გ) კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით, აქტიურად მონაწილეობდეს ორგანიზაციის პროგრამულ საქმიანობაში და საწესდებო მიზნების განხორციელებაში;
დ) მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ;
ე) ორგანიზაციის საქმიანობისა და მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
ვ) ატაროს ორგანიზაციის მაინდენტიფიცირებელი ნიშნები და სიმბოლოები;
ზ) ნებისმიერ დროს, განცხადების საფუძველზე, მოითხოვოს წევრობის შეწყვეტა;
4.7 ორგანიზაციის წევრი ვალდებულია:
ა) დაიცვას ორგანიზაციის წესდება, შინაგანაწესი, შეასრულოს საერთო კრების გადაწყვეტილებები;
ბ) გაუფრთხილდეს ორგანიზაციის სახელს, საქმიან რეპუტაციას, ღირსებასა და ქონებას;
გ) შესაძლებლობის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდეს ორგანიზაციის საქმიანობაში;
დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ორგანიზაციის საწესდებო მიზნებით.
გ) არ გაახმაუროს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 5. ორგანიზაციის საერთო კრება
5.1 ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საერთო კრება, რომელსაც იწვევს გამგეობა. საერთო კრება იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.
5.2 საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა.
5.3. ორგანიზაციის საერთო კრებას გამგეობა იწვევს:
ა) საკუთარი ინიციატივით;
ბ) თავმჯდომარის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
5.4. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება სხვა წევრებს შესაძლებელია მიეწოდოთ:
ა) დაზღვეული წერილით;
ბ) პირადად ჩაბარდეს ადრესატს;
გ) გაეგზავნოს ელ.ფოსტის მეშვეობით.
5.5. მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს კრების ჩატარებამდე 3 კალენდარული დღით ადრე მაინც. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი და დღის წესრიგი.
5.6. წევრს უფლება არ აქვს კრების საქმიანობაში წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა.
5.7. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, გამგეობა იმავე ვადებში და წესით მოიწვევს განმეორებით საერთო კრებას, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა როდენობის მიუხედავად.

5.8. კრების მუშაობას ხელმძღვანელობს ორგანიზაციის თავმჯდომარე.
5.9. კრების გადაწყვეტილებას ხელს აწერს ორგანიზაციის თავმჯდომარე.
5.10. საერთო კრება დამსწრეთა ორი მესამედის თანხმობით:
ა) იღებს და ცვლილებები შეაქვს წესდებაში;
ბ) გამგეობის წინადადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.
5.11 საერთო კრება დამსწრეთა უმრავლესობით:
ა) იღებს გადაწყვეტილებას წევრის ორგანიზაციიდან გარიცხვის შესახებ;
ბ) ირჩევს გამგეობის წევრებს;
გ) იღებს გადაწყვეტილებას წესდებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

მუხლი 6. გამგეობა
6.1 ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს გამგეობა (შემდგომში - ,,გამგეობა''), რომელიც არის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი მმართველობითი ორგანო.
6.2 გამგეობის წევრები აირჩევიან 2 წლის ვადით.
6.3 გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.
6.4 გამგეობის სხდომები ტარდება ორგანიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე თავმჯდომარის მოწვევით, ანდა რომელიმე გამგეობის წევრის მოთხოვნით.
6.5 გამგეობა შედგება 7 წევრისგან;
6.6 გამგეობის წევრის გადადგომის, ან უფლებამოსილების სხვაგვარად (გათავისუფლება, ავადმყოფობა, რაც შეუძლებელს ხდის გამგეობის წევრის მოვალეობის შესრულებას) ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გამგეობა დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე კრებას, რომელიც ირჩევს გამგეობის ახალ წევრს.
6.7 გამგეობის წევრის გათავისუფლება მის მიერ უფლებამოსილების გადამეტების, მოვალეობის შეუსრულებლობის, ან საწესდებო მიზნების საწინააღმდეგო ქცევისათვის შეუძლია მხოლოდ საერთო კრებას.
6.8 გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. გამგეობის წევრებს გამგეობის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 7 დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.
6.9 გამგეობის წევრები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უნდა დაესწრონ სხდომას. თუ რომელიმე წევრს არ შეუძლია სხდომაზე დასწრება, მას დღის წესრიგში შემავალ საკითხებზე შეუძლია აზრი გამოთქვას და ხმა მისცეს ელექტრონული კომუნიკაციის (მეილი, ფაქსი და სხვა) მეშვეობით, რომლის შესახებაც მან სხდომამდე უნდა აცნობოს თავმჯდომარეს. გამგეობის სხდომა შესაძლოა ჩატარდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (ვიდეოტრანსლაცია, სკაიპი, ჩატი, ელ.ფოსტა და სხვ.).
6.10 გამგეობა:
ა) იწვევს და ატარებს საერთო კრებას.

ბ) ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად წევრებს აცნობებს კრებამდე ერთი კვირით ადრე;
გ) ფარული კენჭისყრით წყვეტს ორგანიზაციის წევრად მიღების საკითხებს;
დ) ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;
ე) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
ვ) ამტკიცებს ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის წარსადგენად;
ზ) წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;
თ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ორგანიზაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
ი) ფარული კენჭისყრით წევრთა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ორგანიზაციის თავმჯდომარეს.
კ) მის მიერვე დადგენილი წესით, შეარჩევს ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურას, თანხმობას აძლევს ორგანიზაციის თავმჯდომარეს აღმასრულებელ დირექტორთან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტაზე;
ლ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას.
მ) ამზადებს ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებს და მიზნობრივი პროგრამებს;
ნ) ისმენს გამგეობის მიერ დანიშნული პირების ანგარიშს.
6.11 გამგეობის სხდომას ხელმძღვანელობს ორგანიზაციის თავმჯდომარე. სხდომის ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და გამგეობის წევრები. სხდომის ოქმს ენიჭება ნუმერაცია და თარიღი.

მუხლი 7. ხელმძღვანელობა, წარმომადგენლობა და ორგანიზაციის მართვა
7.1 ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები ერთობლივად ან ცალ-ცალკე არიან გამგეობის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე) და აღმასრულებელი დირექტორი.
7.2 თავმჯდომარე:
ა) ორგანიზაციის თავმჯდომარე მოქმედებს ორგანიზაციის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ბ) წესდებით დადგენილი წესით ორგანიზაციის სახელით ხელშეკრულებას აფორმებს/წყვეტს აღმასრულებელ დირექტორთან;
გ) შეიმუშავებს გამგეობის სხდომის დღის წესრიგს, უზრუნველყოფს გამგეობის სხდომის მოწვევას და ჩატარებას, უძღვება გამგეობის სხდომების მიმდინარეობას და პასუხისმგებელია გამგეობის სხდომის ოქმის შედგენაზე;
დ) გამგეობის სახელით ხელს აწერს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
ე) მოთხოვნის შემთხვევაში, გამგეობას და/ან საერთო კრებას წარუდგენს დეტალურ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობაზე;
ვ) პასუხისმგებელია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში, ორგანიზაციის ყოველწლიური აუდიტორული შემოწმებისა და ფინანსური ანგარიშის მომზადებაზე, რომელსაც სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში წარუდგენს გამგეობას;
ზ) პასუხისმგებელია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვაზე;
თ) უზრუნველყოფს გამგეობის წევრთა ხელმისაწვდომობას ორგანიზაციის ყველა ოპერაციაზე, საშუალებასა და დოკუმენტაციაზე;
ი) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს, წყვეტს სხვა საკითხებს ან/და ახორციელებს უფლებამოსილებებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო

კრების, გამგეობის ან აღმასრულებელი დირექტორის კომპეტენციას.
7.3 თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი ან გამგეობის გადაწყვეტილებით რომელიმე სხვა წევრი.
7.4 ორგანიზაციის თავმჯდომარე აირჩევა გამგეობის მიერ 2 წლის ვადით. ერთი პირი ორგანიზაციის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ 2 ვადით.
7.5 აღმასრულებელი დირექტორი:
7.5.1 აღმასრულებელი დირექტორი ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას. ის ვალდებულია ორგანიზაციის საქმიანობას წარუძღვეს გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით, მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების საფუძველზე. საკუთარი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ის ვალდებულია აანაზღაუროს ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალი.
7.5.2 აღმასრულებელი დირექტორი:
ა) ნიშნავს და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს;
ბ) კანონმდებლობისა და ორგანიზაციის შიდა რეგულაციების შესაბამისად, განკარგავს დემოკრატიის მცველების ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს, პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;
გ) პასუხისმგებელია ორგანიზაციისთვის დაფინანსების წყაროების მოძიებაზე, სავალდებულო აღრიცხვის უზრნველყოფასა და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაწესებული გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე;
დ) ორგანიზაციის სახელით აწარმოებს კომუნიკაციას დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან;
ე) ორგანიზაციის სახელით აწარმოებს კომუნიკაციას სხვადასხვა სახელმწიფო თუ ფინანსურ ინსტიტუტებთან, მათ შორის, საბანკო დაწესებულებებთან, ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტაციას.
ვ) საერთო კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის ადმინისტრაციულ და პროგრამულ საქმიანობას;
ზ) გამგეობის თავმჯდომარესთან ერთად უზრუნველყოფს ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული პროცედურების შემუშავებასა და სრულყოფას, და გამგეობისთვის დასამტკიცებლად წარდგენას.
თ) ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე.
7.5.3 აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს თავმჯდომარე.

მუხლი 8. ორგანიზაციის ქონება
8.1 ორგანიზაციას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 ორგანიზაციის ქონების და ფინანსური სახსრების წყაროებს შეადგენს: დამფუძნებელი წევრის (წევრების) შენატანები, ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულებანი, გრანტები, დონაციის გზით მიღებული თანხები და სხვა სახის კანონიერი შემოსავლები, რომლებსაც ორგანიზაცია მოიპოვებს თავისი ამოცანების შესრულების ხელშესაწყობად.
8.3 დაუშვებელია ორგანიზაციის ქონების განაწილება დამფუძნებლებს, გამგეობის წევრებს ან დონორებს შორის, ასევე, ორგანიზაციის რესურსების არაკანონიერად გამოყენება
8.4 ორგანიზაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.
8.5 გამგეობის გადაწყვეტილებით, კალენდრული წლის განმავლობაში ერთხელ, შესაძლებელია ჩატარედეს ორგანიზაციის ფინანსური აუდიტი.

მუხლი 9. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია
9.1 ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შესაძლებელია საერთო კრების მიერ

მიღებული გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.2 ლიკვიდირებული ორგანიზაციის ქონება უნდა გამოიხატოს ფულში და დაკმაყოფილდნენ კრედიტორები.
9.3 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა მსგავსი მიზნებისა და ამოცანების მქონე სხვა ორგანიზაციას.
9.4 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები
10.1 წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წინამდებარე წესდების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2 ამ წესდების რომელიმე ნორმის ძალადაკარგულად (ბათილად) აღიარება გავლენას ვერ იქონიებს მთლიანი წესდების იურიდულ ძალაზე.
10.3 ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის წესდებით გათვალისწინებული, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.